სანდრო ვახტანგაძე

PR და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის მედიის სკოლა

SMK გამოყენებით მეცნიერებათა კოლეჯი, ლიეტუვა

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში 2026 წლის გაზაფხულის სემესტრი ვილნიუსში გავატარე. აღნიშნული პროგრამა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეულად მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო და დარწმუნებული ვარ, რომ ლიეტუვაში გატარებული თვეები ყოველთვის მემახსოვრება.

SMK-ში მულტიკულტურულ გარემოში სწავლისა და განსხვავებული წარმომავლობის სტუდენტებსა და ლექტორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა მომეცა. მათთან ურთიერთობა დამეხმარა, რომ სასწავლო პროცესი სხვა კუთხით დამენახა და უკეთ გამეანალიზებინა სხვადასხვა მიდგომა. ვფიქრობ, მიღებული გამოცდილება მრავალმხრივ სასარგებლო იქნება ჩემს მომავალ საქმიანობაში.

ერასმუსის მთავარი ხიბლი ჩემთვის კულტურული გამოცდილება იყო. გავეცანი ლიეტუვის კულტურას და მეტი გავიგე ქვეყნის ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, შევხვდი ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნიდან და შევიძინე ახალი მეგობრები. ვფიქრობ უკეთ გავიაზრე მათი მსოფლმხედველობა და ცხოვრების სტილი, რაც ძალიან დამეხმარა ჩემი თვალსაწიერის გაფართოებაში. ამავდროულად, არაერთ ადამიანს გავაცანი საქართველო, ვესაუბრე ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე, კულტურასა და ამჟამინდელ მდგომარეობაზე, რაც ჩემთვის საპასუხისმგებლო და საამაყოა.

ერასმუსმა მეტად დამოუკიდებელ ადამიანად მაქცია, მეტად დამაფიქრა ჩემს პიროვნულ ზრდაზე და დამეხმარა, რომ დავაფასო სხვადასხვა შესაძლებლობა ცხოვრებაში. ვფიქრობ, ეს გამოცდილება მომავალში ჩემი ცხოვრების მრავალ ასპექტზე მოახდენს გავლენას.